საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 394 2018 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი

შ. ხუციშვილისათვის „საქართველოს მთავრობასა და იერუსალიმის, როდოსისა და მალტის წმინდა იოანეს სუვერენული სამხედრო ჰოსპიტალიერთა ორდენის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს შალვა ხუციშვილს მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და იერუსალიმის, როდოსისა და მალტის წმინდა იოანეს სუვერენული სამხედრო ჰოსპიტალიერთა ორდენის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის უფლებამოსილება.

№1

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**